# საქართველო
# ხარაგაული

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
## ბრძანება N 50 135

08/06/2017

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ზოგიერთი თანამდებობის შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ პოზიციად განსაზღვრის შესახებ**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 125-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად და ხარაგაულისმუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობის ფუნქციათა ერთობლიობის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, (ოქმი N 2)

**ვბრძანებ:**

1. ამ ბრძანების დანართში მითითებული თანამდებობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე 2017 წლის 1 ივლისიდან გარდაიქმნას შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ პოზიციად.

2. დაევალოს საკრებულოს აპარატს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პოზიციის დასაკავებლად შესაბამის პირთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე